პროექტი

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე 28.12.22.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობაში არსებული 20.63 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (N1-2 – 10.30 კვ.მ.; N1-3 - 10.33 კვ.მ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპლიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე 28.12.22.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობაში არსებული 20.63 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (N1-2 – 10.30 კვ.მ.; N1-3 - 10.33 კვ.მ.), 3 (სამი) წლის ვადით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე;

2. უმრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 415 (ოთხას თხუთმეტი) ლარის ოდენობით;

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში;

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: ვ.ყაჭეიშვილი